„მზის ქალაქი“ - ტომაზო კამპანელა

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

მიზანი - მოსწავლეები გააანალიზებენ წყაროს - ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქს“ და პასუხს გასცემენ დასმულ შეკითხვებს.

აქტივობაში წარმოდგენილია პირველადი წყარო - **თხზულება „მზის ქალაქი“,** რომლის ავტორია იტალიელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ტომაზო კამპანელა. აქტივობა მოიცავს მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს ამ ნაწარმოებიდან და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის „მზის ქალაქის“ შინაარსის შესახებ. წყაროს თან ახლავს რამდენიმე შეკითხვა, რომლებზე პასუხის გაცემაც მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ XVI – XVII საუკუნეების იტალიურ ინტელექტუალურ წრეებში გამეფებული პოლიტიკური იდეები. ამ აქტივობის გამოყენებისას, მასწავლებლებს ეძლევათ სრული თავისუფლება - მათ შეუძლიათ შეცვალონ, დაამატონ ან განსხვავებული სახით ჩაატარონ წარმოდგენილი აქტივობები.

რეკომენდებულია „მზის ქალაქისა“ და ჩვენ მიერ წარმოდგენილი თომას მორის „უტოპიის“ შედარება. ეს ბოლო შეკითხვაშიცაა მოცემული.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია XI კლასის მოსწავლეებისთვის.

დავალება: უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

მზის ქალაქი - ტომაზო კამპანელა

ტომაზო კამპანელა (1568 - 1639) - იტალიელი ფილოსოფოსი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. მის თხზულებაა „მზის ქალაქი“, რომელიც დაწერილია მეზღვაურის მონათხრობის ფორმით. ნაწარმოებში აღწერილია იდეალური სახელმწიფო, რომელშიც არ არსებობს კერძო საკუთრება; ყველა ერთნაირად შრომობს და ყველას აქვს შესაძლებლობა დაკავდეს მეცნიერებითა და ხელოვნებით.

მოსაუბრეები: მასპინძელი (მოგზაურების მისაღების უფროსი) და მეზღვაური ქალაქ გენუიდან.

მეზღვაური:

...უმაღლეს მმართველად ჰყავთ სასულიერო პირი, რომელსაც მათ ენაზე „მზე“ ეწოდება, ხოლო ჩვენებურად - „მეტაფიზიკოსს“[1] ვუწოდებდი. ის არის ყველას ხელმძღვანელი როგორც მატერიალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას მას საბოლოო სიტყვა ეკუთვნის. ამ მღვდელმთავარს სამი თანამმართველი ჰყავს: პონი, სინი და მორი; ჩვენებურად - ძალა, სიბრძნე და სიყვარული.

ძალის კომპეტენციაში შედის ყველაფერი ის, რაც ომსა და მშვიდობას ეხება: სამხედრო საქმე, ომში უმაღლესი სარდლობა, თუმცა ის ამაშიც არ დგას „მზეზე“ მაღლა. პონი განაგებს სამხედრო თანამდებობებს, ჯარისკაცებს, ხელმძღვანელობს ჯარის მომარაგებას, თავდაცვით ნაგებობებს, ალყას, სამხედრო მანქანებს, სამხედრო სახელოსნოებსა და ხელოსნებს და სხვა.

სიბრძნის კომპეტენციაში შედის ხელოსნობა და ყოველგვარი მეცნიერება, ასევე შესაბამისი თანამდებობის პირები და მეცნიერები, ისევე, როგორც სასწავლო დაწესებულებები. სინის დაქვემდებარებული პირების რაოდენობა შეესაბამება მეცნიერებათა დარგების რაოდენობას: ასტრონომი, კოსმოგრაფი, გეომეტრი, ისტორიოგრაფი, პოეტი, ლოგიკოსი, რიტორი, გრამატიკოსი, ექიმი, ფიზიკოსი, პოლიტიკოსი და მორალისტი. მათ აქვთ მხოლოდ ერთი წიგნი, რომელსაც „სიბრძნე“ ეწოდება და რომელშიც ძალიან მოკლედ და გასაგებად წარმოდგენილია ყველა მეცნიერება. ამ წიგნს უკითხავენ ხალხს, როგორც ეს პითაგორელებთან იყო მიღებული. სიბრძნის განკარგულებით, მთელი ქალაქის შიდა და გარე კედლები მოხატულია უმშვენიერესი მხატვრობით, რომელიც მწყობრად და თანმიმდევრობით ასახავს მეცნიერების დარგებს...

სიყვარულის კომპეტენციაში პირველ რიგში შედის შობადობა და იმაზე ზედამხედველობა, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შედეგად ქვეყანას საუკეთესო შთამომავლობა მოუტანოს.... მორი ასევე პასუხს აგებს ბავშვების აღზრდაზე, მკურნალობაზე, წამლის დამზადებაზე, თესვასა და მკაზე, მოსავლის აღებაზე, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაზე,

[1] 1. მეტაფიზიკა - შემეცნების მეთოდი, რომელიც დიალექტიკისგან განსხვავებით, მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, უარყოფს საგნებისა და მოვლენების შინაგან წინააღმდეგობას.
2. იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც განიხილავს ცდისმიღმურ მოვლენებს (ღმერთს, სულს და მისთ.) ბერძ. meta ta physika - „ფიზიკის შემდეგ“ (ასე უწოდეს არისტოტელეს ფილოსოფიურ თხზულებებს, რომლებიც მოთავსებული იყო მისი ფიზიკის ტრაქტატების შემდეგ).
წყარო: ჭაბაშვილი მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. - მე-3 შესწ. და შევს. გამოც.. - თბ. : განათლება, 1989. - 600გვ. ; 16სმ.. - სახელთა საძიებელი: გვ. 63-68. - 5მ., 10000ც.[MFN: 2749]

სუფრასა და საერთოდ - ყველაფერ იმაზე, რაც საკვებთან, ტანსაცმელთან და სქესობრივ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. მას ჰყავს მრავალი მოძღვარი და მკაცრი მეთვალყურე, რომლებიც ამ სფეროში ზედამხედველობენ მოსახლეობას.

„მზე“ კი საერთო ზედამხედველობას უწევს ყველაფერ ამას, ზემოხსენებული სამი მმართველის მეშვეობით. ისინი არაფერს მოიმოქმედებენ მის გარეშე. რესპუბლიკის ყველა საქმე განიხილება ზემოთ ნახსენები ოთხი პირის მიერ და ყველა იზიარებს მეტაფიზიკოსის მოსაზრებებს.

მასპინძელი:

მითხარი, რა წესით ირჩევენ ისინი თანამდებობის პირებს?

მეზღვაური:

ამას, შენ კარგად ვერ გაიგებ, სანამ მათი ცხოვრების წესს არ გაეცნობი. უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდე, რომ მამაკაცები და ქალები თითქმის ერთნაირ, სამხედრო საქმისთვის მორგებულ ტანსაცმელს ატარებენ: ქალების მოსასხამი მუხლს ქვემოთაა, ხოლო მამაკაცების - მუხლს ზემოთ. ისინი ყველა მეცნიერებას ერთად ეუფლებიან... შემდეგ, თითოეული მათგანი იკავებს იმ თანამდებობას და იმ სფეროში, რომელშიც ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. ამას წყვეტს მისი ხელმძღვანელი. ყველაზე ღირსეულად საზოგადოება თვლის იმას, ვინც სიღრმისეულად დაეუფლა რაც შეიძლება მეტ მეცნიერებისა და ხელოვნების დარგს და ვისაც შეუძლია მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს. დარჩენ თანამდებობის პირებს ირჩევს ოთხი მთავარი მმართველი... და სათანადო მეცნიერებებისა და ხელოსნობის ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც კარგად უწყიან, ვინაა ვარგისი განაგოს ესა თუ ის დარგი.

მაგრამ არავის შეუძლია დაიკავოს ქალაქის უმაღლესი მმართველის პოსტი, თუ სიღრმისეულად არ ეცოდინება ყველა ხალხის ისტორია, მათი წეს-ჩვეულებები, რელიგიური რიტუალები, კანონები, ყველა რესპუბლიკები და მონარქიები, ავტორიტეტები და გამომგონებლები მეცნიერებებისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, ასევე ცის აგებულება. მმართველმა, ამავე დროს, უნდა იცოდეს ხელოსნობის ყველა დარგი და ფიზიკური, მათემატიკური და ასტროლოგიური მეცნიერებები. აუცილებელი არ არის ენების ცოდნა, რადგან მათ ჰყავთ მრავალი მთარგმნელი, რომლებსაც გრამატიკოსებს უწოდებენ.

ყველაზე მნიშვენელოვანი მმართველისთვის მეტაფიზიკისა და თეოლოგიის ცოდნაა; მან უნდა იცოდეს მეცნიერებისა და ხელოვნების საფუძვლები, მიზეზები, მსგავსებები და განსხვავებები. მმართველმა უნდა შეიმეცნოს ყველა მეციერებისა და ხელოვნების მტკიცებულებები და საფუძვლები; ასევე, საგნების არსთა მსგავსება და განსხვავება; ჩაწვდეს სამყაროს არსებობის აუცილებლობას, ბედსა და ჰარმონიას, სიმძლავრეს, სიბრძნესა და სიყვარულს საგნებსა და ღმერთში. მმართველი ღრმად უნდა იყოს განსწავლული არსთა იერარქიაში და მათ შესაბამისობაში ციურ, მიწიერ და იდეალურ საგანთა მიმართ და ღმერთში, რამდენადაც ეს შესაძლებელია მოკვდავთათვის.

ამგვარად, არჩევამდე დიდი ხნით ადრეა ცნობილი თუ ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას. მაგრამ 35 წლამდე არავის აქვს ამ პოსტის დაკავების უფლება. ადამიანი, რომელიც უმაღლესი მმართველი ხდება, მანამ ინარჩუნებს ამ თანამდებობას, სანამ მასზე ბრძენი და უკეთესი კანდიდატი არ გამოჩნდება.

კითხვები:

1. ვინ არის „მზის ქალაქის“ უმაღლესი მმართველი და როგორია მისი როლი სახელმწიფოში?
2. როგორია ძალის (პონის), სიბრძნისა (სინი) და სიყვარულის (მორი) ფუნქციები მმართველობაში?
3. რომელ სფეროებს ხელმძღვანელობს ძალის მმართველი?
4. რომელ სფეროებს ხელმძღვანელობს სიბრძნის მმართველი?
5. რომელ სფეროებს ხელმძღვანელობს სიყვარულის მმართველი?
6. რა კრიტერიუმებით ირჩევენ თანამდებობის პირებს „მზის ქალაქში“?
7. რა განათლება და ცოდნაა საჭირო უმაღლესი მმართველის პოსტის დასაკავებლად?
8. რას გვიჩვენებს ის მოვლენა, რომ კაცებსა და ქალებს ერთნაირი განათლება ეძლევათ და თითქმის ერთნაირი ტანსაცმელი აქვთ?
9. როგორ უკავშირდება კამპანელას ფილოსოფიურ ხედვებს მეტაფიზიკის, თეოლოგიისა და მეცნიერების ცოდნის მოთხოვნა მმართველისთვის?
10. როგორ ფიქრობ, რამდენად შესაძლებელია კამპანელას მიერ აღწერილი სახელმწიფოს მოდელის განხორციელება რეალურ საზოგადოებაში?
11. რამდენად სამართლიანია „მზის ქალაქში“ თანამდებობის დაკავებისა და დაწინაურების წესი?
12. როგორ ფიქრობ, საერთო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც ტექსტშია აღწერილი, რამდენად მისაღებია დღევანდელი სამყაროსთვის?
13. შეადარე ერთმანეთს ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქი“ და თომას მორის „უტოპია“. რა მსგავსება და განსვავებაა ამ ორ საზოგადოებას შორის?